''საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''-ს
მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის
შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2019 წლის 11 დეკემბრის N11
განკარგულებით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი №2

დაბა ჩაქვი 2019 წლის 19 დეკემბერი, 14:00-18:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თამარ მამეიშვილი
2. ლევან გობაძე
3. წათია კუპრაშვილი
4. გივი მგელაძე
5. მანანა შარაშიძე

დღის წესრიგი:

1. ''საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსანთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა;
2. კონკურსანტებთან გასაუბრების თარიღის განსაზღვრა.

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე თამარ მამეიშვილი

კომისიის წევრებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მოისმინეს: მომხსენებელმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განუმარტა, რომ სულ წარმოდგენილია 9 კონკურსანტის დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ხარვეზები დაუდგინა შემდეგ კონკურსანტებს:

1. ლაშა ზარგინავა - წარმოდგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ვერ დგინდება მიღებული განათლების შესაბამისობა მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. პირად საქმეში არსებული დიპლომის ასლი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 87–ე მუხლის მე–7 პუნქტისა და ამავე კანონის 89–ე მუხლის მე–8 პუნქტის თანახმად, არ არის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული დოკუმენტი. მიეცა რეკომენდაცია დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
   კომისიის წევრებს შორის განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.
2. თეიმურაზ დიასამიძე - წარმოდგენილი დოკუმენტით „მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის" 35–5 პრიმა მუხლის შესაბამისად, ვერ დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილ სფეროებში მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი. მიეცა რეკომენდაცია დამატებით წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მოთხოვნილი სტაჟი.

კომისიის წევრებს შორის განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

3. ჯემალ მეგრელიძე – არ არის წარმოდგენილი უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის საქართველოს კანონმდებლობით აღიარების დოკუმენტი. მიეცა რეკომენდაცია, წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
   კომისიის წევრებს შორის განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.
4. ნათია აფხაზავა - წარმოდგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ვერ დგინდება მიღებული განათლების შესაბამისობა მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. პირად საქმეში არსებული დიპლომის ასლი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 87–ე მუხლის მე–7 პუნქტისა და ამავე კანონის 89–ე მუხლის მე–8 პუნქტის თანახმად არ არის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული დოკუმენტი. მიეცა რეკომენდაცია დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
   კომისიის წევრებს შორის განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

დოკუმენტების განხილვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კონკურსანტებს ტელეფონით დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, გააცნო ხარვეზების ფორმა და შინაარსი, ასევე განუმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტები წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს შესაბამის სამსახურს დადგენილ ვადაში.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრის - მრჩევლის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღმოჩენილი ხარვეზის შესავსებად, კანდიდატებს მიეცათ 24 საათიანი ვადა. ვადის ათვლა დაიწყოს 2019 წლის 20 დეკემბრის სამუშაო დღის დასაწყისიდან. დამატებითი დროის საჭიროების შემთხვევაში, უქმე დღეების დამთხვევის გამო, ბოლო ვადა განისაზღვრა 2019 წლის 23 დეკემბერს 18:00 საათამდე.

კომისიამ ასევე იმსჯელა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე – კონკურსანტებთან გასაუბრების თარიღის განსაზღვრა – და შეთანხმდა, რომ მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებთან გასაუბრება ჩატარდება 2019 წლის 24 დეკემბერს.
თარიღის შეთანხმებისას კომისიის წევრებს შორის განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარე თამარ მამეიშვილი

კომისიის მდივანი მანანა შარაშიძე